შრომითი ხელშეკრულება N01

ქ. ამბროლაური 01 თებერვალი, 2018 წ

ერთი მხრივ, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში – საკრებულო), წარმოდგენილი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავით ვაჩაძის სახით პირადი N04001000129, მისამართი - ქ. ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. N11 (შემდგომში დამსაქმებელი) და მეორე მხრივ ნათია მელაშვილი, პირადი N35001060931, მისამართი - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. წესი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (შემდგომში – ხელშეკრულებით დასაქმებული პირი), ვმოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე შრომით ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ ანაზღაურების სანაცვლოდ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილების განხორციელება, მდივან-რეფერენტის პოზიციაზე.

მუხლი 2. ხელშეკრულებით დასაქმებული პირის ფუნქციები

ხელშეკრულებით დასაქმებული პირისათვის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებულია შემდეგი ფუნქციების შესრულება:

ა) საკრებულოს თავმჯდომარესთან მოქალაქეების შეხვედრის ორგანიზება;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა;

გ) საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს თანამდებობის პირებსა და აპარატის საჯარო მოსამსახურეებს შორის მაკოორდინირებელი ფუნქციის შესრულება;

დ) საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მოქალაქეთა მიღების ორგანიზება;

ე) საკრებულოს თავმჯდომარის მისაღებში წესრიგის დაცვა და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება;

ვ) საკრებულოს თავმჯდომარის შეხვედრების ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა. შეხვედრის მონაწილეების გაფრთხილება, შეხვედრებზე მოქალაქეთა თხოვნების, შენიშვნების აღრიცხვა და შემდგომში პასუხისმგებელი პირებისთვის გადაცემა;

ზ) საკრებულოს თავმჯდომარის საინფორმაციო მასალებით უზრუნველყოფა;

თ) საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულების ხელშეწყობა;

ი) კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარის სხვა სამსახურებრივი დავალებების შესრულება.

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

1. დასაქმებულის უფლებები და მოვალეობებია:

ა) ჰქონდეს უსაფრთხო სამუშაო პირობები და მიიღოს სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები და გაუფრთხილდეს მას.

ბ) სამსახურებრივი უფლებამოსილება განახორციელოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით, რომელიც გულისხმობს მის ვალდებულებას, სამუშაო საათებში თავი შეიკავოს პოლიტიკური აქტივობისაგან, საჯარო სამსახურის მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად.

გ) სამუშაო დრო გამოიყენოს ეფექტიანად და მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

დ) დაიცვას შრომის შინაგანაწესის მოთხოვნები. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასტურდება შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

ე) შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები კეთილსინდისიერად და ხარისხიანად.

ვ) დისციპლინური წარმოების საკითხები ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით.

2 . დამსაქმებელის უფლებები და მოვალეობებია:

ა) შექმნას შესაბამისი სამუშაო გარემო, დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

ბ) მოითხოვოს ინფორმაცია დაკისრებული სამუშაოს შესრულების შესახებ.

გ) გაგზავნოს ხელშეკრულების დასაქმებული პირი მივლინებაში ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის და მოქმედებს ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ შესაძლებელია გაფორმდეს ახალი ხელშეკრულება.

მუხლი 5. შრომის ანაზღაურება

ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურება (ხელფასი) გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ყოველთვიურად - 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 6. სამუშაო დრო

სამუშაო დროის ხანგრძლივობა დღეში არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს, ხოლო კვირაში – 40 საათს.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) ხელშეკრულების ვადის გასვლა;

ბ) ხელშეკრულების მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

გ) თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ინიციატივა.

ე) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ 37-მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

მუხლი 8. დავის სამართლებრივი გადაწყვეტა

მხარეთა შორის ყველა დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით, მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მხარეებთან. ხელშეკრულების ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

2. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ფორმდება წერილობით - ახალი ხელშეკრულების დამატების სახით.

3. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამსაქმებელი:	ხელშეკრულებით დასაქმებული პირი:
_____	_____

222938490